საკონკურსო გამოცდაზე კონკურსანტთა ქცევის წესები

1. კონკურსტანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს რეგისტრაციაზე. დაგვიანებული კონკურსანტი გამოცდაზე არ დაიშვება.
2. კონკურსანტი ვალდებულია იქონიოს ***<u>პირადობის დამადასტურებელი მოწმობა</u>*** წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსანტი გამოცდაზე არ დაიშვება.
3. ***<u>აკრძალულია გამოცდაზე ნებისმიერი ნივთის შეტანა, გარდა საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა. ზედმეტი ნივთები კონკურსანტმა უნდა ჩააბაროს გარდერობში.</u>***
4. კონკურსანტი ვალდებულია მაგიდის მარჯვენა/მარცხენა კუთხეში დადოს პირადობის მოწმობა და რეგისტრაციის ნომერი.
5. მერხზე არ უნდა იდოს არც ერთი ნივთი კონკურსანტის პირადობის მოწმობის, საწერი კალმის გარდა.
6. წერის დაწყებამდე სამუშაო მაგიდაზე რაიმე სხვა ფურცლის აღმოჩენის შემთხვევაში კონკურსანტი მიიღებს გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან.
7. კონკურსანტი ვალდებულია შეამოწმოს მისთვის დარიგებული საგამოდო ფურცელი, ხომ არ არის დაზიანებული, დაზიანების არსებობის შემთხვევაში უნდა მიმართოს მეთვალყურეს. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ ასეთი პრეტენზია აღარ მიიღება.
8. საგამოცდო ნაწერი უნდა შესრულდეს მეთვალყურის მიერ დარიგებულ საგამოცდო ფურცლებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაწერი არ გასწორდება.
9. საგამოცო ფურცელზე ამისათვის განკუთვნილ ადგილას კონკურსანტმა უნდა დაწეროს სახელი, გვარი, ფაკულტეტი, მიმართულება.
10. საგამოცო ფურცელზე რაიმე სახის მინიშნების აღმოჩენის შემთხვევაში ნაწერი არ გასწორდება.
11. კონკურსანტი ვალდებულია არ გადაშალოს მეთვალყურის მიერ დარიგებული საგამოცდო ბილეთი სანამ არ დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა. ამის თაობაზე თქვენ გაცნობებთ მეთვალყურე. გამოცდის ხანგრძლივობაა 3 საათი.
12. ***<u>საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ აკრძალულია აუდიტორიიდან გასვლა სამუშაოს სრულად დამთავრებამდე.</u>***
13. თუ კონკურსანტი დროზე ადრე დაიწყებს საგამოცდო ბილეთზე მუშაობას, მიიღებს გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან.
14. საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებულ შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებზე პასუხი არ იქნება გაცემული. პროცედურული და ტექნიკური ხასიათის შეკითხვების შემთხვევაში კონკურსანტმა ხელის აწევით უნდა მიმართოს მეთვალყურეს და შეკითხვა დასვას ხმამაღლა;
15. აკრძალულია გამოცდის პროცესის დროს საუბარი. ერთმანეთთან გადალაპარაკების შემთხვევაში კონკურსანტი მიიღებს გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან.
16. აკრძალულია ლექსიკონის, პეიჯერის, მობილური ტელეფონის, კალკულატორის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყოს გამოცდაზე შეტანა. მათი თუნდაც გამორთულ

მდგომარეობაში აღმოჩენის შემთხვევაში კონკურსანტი დაუყოვნებლივ მოიხსნება გამოცდიდან.

17. ”შპარგალკის” აღმოჩენის შემთხვევაში კონკურსანტი დაუყოვნებლივ მოიხსნება გამოცდიდან.
18. გამოცდიდან მოხსნის საფუძველი შეიძლება გახდეს დისციპლინის სხვა დარღვევა.
19. საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე მეთვალყურე ატყობინებს კონკურსანტებს ამის შესახებ. არ გასწორდება იმ კონკურსანტთა ნაშრომები, ვინც საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მუშაობას.
20. სამუშოს დასრულების შემდეგ საგამოცდო ბილეთი და რვეული კონკურსანტმა უნდა გადასცეს მეთვალყურეს და მოაწეროს ხელი სექტორის უწყისში.

გისურვებთ წარმატებებს!!!